დანართი 1

სტუდენტური მოხალისეობის ფესტივალი

სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივითა და ორგანიზებით, 2026 წლის მაისი-დეკემბრის პერიოდში სტუდენტური მოხალისეობის ფესტივალი განხორციელდება, რომელიც აერთიანებს საქართველოს მასშტაბით ავტორიზებულ უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს და მიზნად ისახავს სტუდენტებში მოხალისეობის კულტურის გაძლიერებას, მათი მოტივაციის ამაღლებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობას.

ფესტივალი წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის, სადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა თავად დაგეგმონ და განახორციელონ მოხალისეობრივი ინიციატივები, რომლებიც პასუხობს ადგილობრივ სოციალურ, გარემოსდაცვით, კულტურულ და საგანმანათლებლო გამოწვევებს. პროგრამა ორიენტირებულია ახალგაზრდებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიცემაზე, მათი ლიდერული, კომუნიკაციური და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებაზე.

პროექტი განხორციელდება რამდენიმე ეტაპად. კერძოდ, პირველ ეტაპზე საგანმანათლებლო დაწესებულებები წარადგენენ საპროექტო ინიციატივებს 5-წევრიანი სტუდენტური გუნდების სახელით. წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე მოხდება განაცხადების შეფასება და 20 საუკეთესო გუნდის (ინიციატივის) შერჩევა. მეორე ეტაპზე შერჩეული გუნდები გაივლიან მენტორულ პროგრამას, რომელიც მათ დაეხმარებათ გუნდური მუშაობის, ლიდერობის, ეფექტური კომუნიკაციისა და პროექტის დაგეგმვის პრაქტიკული უნარების განვითარებაში.

პროექტების განხორციელება იგეგმება ივნისი-ივლისის პერიოდში. მონაწილე გუნდის შემაჯამებელ ღონისძიება გაიმართება სააგენტოსთან შეთანხმებულ დღეს და მას დაესწრება ჟიური, რომელიც წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით შეაფასებს პროექტებს.

პროექტი დასრულდება ფესტივალით, სადაც გუნდები წარმოადგენენ საკუთარ გამოცდილებას, ხოლო ჟიურის შეფასების საფუძველზე გამოვლინდება 3 გამარჯვებული გუნდი (15 სტუდენტი), რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში. დამატებით, ხუთივე შეფასების

კრიტერიუმში გამოვლინდება საუკეთესო ინიციატივები, რომელთა ავტორი გუნდები დაჯილდოვდებიან სამახსოვრო პრიზებით.

ფესტივალის განხორციელების ეტაპები:

I ეტაპი - კონკურსის გამოცხადება და განაცხადების მიღება

სააგენტოს მიერ ცხადდება კონკურსი, იწყება განაცხადების მიღება და ტარდება საინფორმაციო შეხვედრები პროექტთან დაკავშირებული შინაარსობრივი, საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხების შესახებ.

თითოეულ უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, 5-კაციანი გუნდის სახელით, უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადი.

განაცხადების მიღების პერიოდი: 15 აპრილი - 5 მაისი

II ეტაპი - საპროექტო განაცხადების გადარჩევა

სააგენტო განიხილავს შემოსულ განაცხადებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, შეირჩევა 20 საუკეთესო ინიციატივა.

საპროექტო განაცხადების გადარჩევის პერიოდი: 6 მაისი - 10 მაისი

III ეტაპი - მენტორული სესიები

თითოეული შერჩეული გუნდი მიიღებს მენტორულ მხარდაჭერას, რომელიც გულისხმობს როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურ რეჟიმში კონსულტაციებს, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული დეტალების დახვეწას და მუდმივ მონიტორინგს.

მენტორული სესიების პერიოდი: 10 მაისი - 15 ივლისი

IV ეტაპი - ინიციატივების განხორციელება

20 გუნდის მიერ ღონისძიებების განხორციელება - თითოეული გუნდი წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ახორციელებს პროექტს და წარადგენს დასკვნით აქტივობას. დასკვნითი აქტივობა შეიძლება განხორციელდეს ღონისძიების სახით, ან სხვა ნებისმიერი ფორმატით, რომელიც იქნება გუნდის მიერ შერჩეული და სააგენტოს მხრიდან დადასტურებული.

ინიციატივების განხორციელების პერიოდი: 5 ივნისი - 15 ივლისი

V ეტაპი - შემაჯამებელი ღონისძიება, გამარჯვებულების გამოვლენა და საერთაშორისო სასწავლო ვიზიტი

პროექტის დასკვნით ღონისძიებაზე გამოვლინდება 3 გამარჯვებული გუნდი, რომელთა მიერ განხორციელებული პროექტებიც დააკმაყოფილებს სააგენტოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს და ჟიურის მხრიდან მიიღებს უმაღლეს შეფასებას. ამასთანავე, დამატებით მოხდება თითოეულ (5) კრიტერიუმში გამარჯვებული პროექტის გამოვლენა.

საბოლოო ეტაპზე გამარჯვებული გუნდები (15 სტუდენტი) მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში, რაც წარმოადგენს პროექტის სამოტივაციო და განვითარებაზე ორიენტირებულ დასასრულს.

შემაჯამებელი ღონისძიების და სასწავლო ვიზიტის განხორციელების პერიოდი: ნოემბერი - დეკემბერი, 2026 წელი.

მონაწილეთა შერჩევა

მოხალისეობის ფესტივალის მონაწილეთა შერჩევა ხორციელდება ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ გამოცხადებული ღია კონკურსის საფუძველზე.

მონაწილეობის წესები:

- პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს მასშტაბით ყველა უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს.
- თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი საპროექტო განაცხადი.
- საგანმანათლებლო დაწესებულება განაცხადს წარმოადგენს 5 (ხუთი) სტუდენტისაგან შემდგარი გუნდის სახელით.
- თითოეული გუნდის წევრი უნდა იყოს 17-29 წლის და გააჩნდეს სტუდენტის აქტიური სტატუსი.
- განაცხადის წარმოდგენით საგანმანათლებლო დაწესებულება ადასტურებს, რომ გუნდის წევრები მზად არიან მონაწილეობისათვის პროექტის ყველა ეტაპში, მათ შორის, მენტორინგის პროცესში, პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ფესტივალის შემაჯამებელ ღონისძიებაში და, გამარჯვების შემთხვევაში, საერთაშორისო სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მისაღებად.
- განაცხადის ფორმა უნდა იყოს სრულყოფილად, მკაფიოდ და გასაგებად შევსებული, წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტისა და სრულყოფილების დაცვით.
- განაცხადი უნდა იყოს წარმოდგენილი დადგენილ ვადებში, პროექტის ორგანიზატორების მიერ განსაზღვრული წესისა და ფორმატის შესაბამისად.
- შევსებულ განაცხადს თან უნდა დაერთოს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს გუნდის წევრების სტუდენტის აქტიურ სტატუსს.
- არ განიხილება პროექტი, რომლის შინაარსი ატარებს დისკრიმინაციულ ან პოლიტიკურ ხასიათს. შერჩეული პროექტის მიერ ნებისმიერ ეტაპზე მსგავსი შინაარსის აქტივობის განხორციელება ავტომატურად გამოიწვევს გუნდის დისკვალიფიკაციას;
- საპროექტო განაცხადის წარდგენის ვადის გასვლის შემდგომ განაცხადები არ მიიღება.
- მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან დაიცვან პროექტის წესები, ეთიკური სტანდარტები და თანამშრომლობის პრინციპები პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.

სტუდენტური გუნდების შერჩევის კრიტერიუმები

განაცხადები/ინიციატივები განიხილება და ფასდება შემრჩევი კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად:

1. განაცხადის სიზუსტე;
2. პროექტის იდეის შესაბამისობა თემატურ მიმართულებებთან;
3. განხორციელებადობა;
4. ინოვაციურობა და კრეატიულობა.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები

ინიციატივების განხორციელების ეტაპზე, გუნდების მიერ განხორციელებული პროექტები ფასდება ჟიურის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1. ინოვაციურობა;
2. კოლაბორაცია;
3. გავლენა;
4. მასშტაბურობა;
5. განათლება და განვითარების შესაძლებლობები.

ფესტივალის საორგანიზაციო გუნდი უზრუნველყოფს:

- პროექტის განხორციელებისთვის საჭირო მარკეტინგულ/ვიზუალურ მასალებს (მათ შორის მაისურებს, ნაჭრის ჩანთებს, პინებს, ფლაერებს, ბუკლეტებს, რეზინის სამაჯურებს, A3 ზომის პოსტერებსა და წებოვან სტიკერებს).
- მენტორული მხარდაჭერას პროექტის იდეის შემუშავებიდან საბოლოო განხორციელებამდე;
- გამარჯვებული გუნდის მონაწილეობას საერთაშორისო ღონისძიებაში, რომელიც მოიცავს ფრენის ბილეთების, განთავსების და ღონისძიებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დაფარვას.